სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.320.010.35.168.000.690

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24

2010 წლის 7 სექტემბერი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთის დამტკიცების შესახებ” სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 13 თებერვლის №16 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ზედელაშვილი

დანართი №1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები (ლარობით)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2360
2	გამგებელი	2360
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1100
4	გამგებლის მოადგილე	900
5	საკრებულოს აპარატის უფროსი, სამასახურის უფროსი	700
6	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	650
7	განყოფილების უფროსი	500
8	გამგებლის თანაშემწე	450

9	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის რწმუნებული	400
10	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი: მთავარი სპეციალისტი წამყვანი სპეციალისტი უფროსი სპეციალისტი სპეციალისტი	 420 410 300 200